

ნობელულო

საქართველოს
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

140
2007

ს3



76

ჩვენი თვედრით დანახული ხანა ჩვენი ქვეყანა

ქ. რუსთავის ქარაო სკოლა „მნათობრი“



კობე მაისურაძე
II^ე კლასი

დაინან თაღორაძე
II^ე კლასი



გიორგი პავლიაშვილი
II^ე კლასი

საყმაწვილო
ქუჩის
2007 წ. № 1

2. ერის მამა



ჩვენი ჟურნალი 1904 წელს
სასიუჟეტო მძებრივითა
მესვეურებითა და
პირველი ქართული საყმაწვი-
ლო ჟურნალის ნაფუძრვე
ამონაწერი. მოგვიანებით მის
სახელი შეეცვალა და "პო-
ნტი" ეწოდა, 1990 წლიდან
კი იგი კვლავ თავისი პირველ-
ადგილი სახელით გამოდის.
წველინაში გამოცემა ჟურ-
ნალის ტრადიციული (ინე-
სის, ივლისის და აგვისტოს
თვეებში) "საზოგადოებრივი"
და "საყმაწვილო" ექვსი.




9. ქორია (პოთხობა)

17. ცხოველთა სამყარო



22. მაინც რა ერის სტროლოგია?

25. ბასტი თინაქარაბისთვის



29. „მავარი“ გამოგონება

რედაქტორი მანანა გელაშვილი

მისამართი: თბილისი,
კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93 31 81;
93 18 84. ინდექსი: 0108
ფასი 1 ლარი

რეგისტრირებულია
მოაწმინდა-კრწანისის
სასამართლოში.

რეგისტრაციის № 06/4-575

ხუბიხუბი

- 6, 16, 28 – მოღობარი
- 15 – კოპიის მარგალიტა
- 11 – მსოფლიო კლით კლიმატ
- 21 – ხუთკუთხედიანი გვარი
- 12 – რატომ ვამბობთ ასე?
- 30 – ლეგენდური თავსატეხი
- 14 – კითხვა თქვენი –
- 31 – სიხლის გაკეთილი
- კასუხი მკვირი
- 32 – ინოვაციური

გარეგანის პირველ გვერდზე მრავალი და ნიპა გაყვანულია

ერის მანა



გთავაზობთ XX საუკუნის ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია შურაბიძეშვილის მოგონებებს ილიაზე

წლებადელი, 2007 წელი სრულად საქართველოსთვის ილიას წლად არის გამოცხადებული. წელს ჩვენი ხალხი თავისი დიდი მოჭირანხულის დადავების 170 წლისთავს აღნიშნავს. „ნაკადულს“ განზრახული აქვს ყოველ წლებადელ ნომერში გამოაქვეყნოს ერის მამად აღიარებული მამულიშვილისადმი მიძღვნილი მასალები. რედაქციის ამგვარი გადაწყვეტილება გარდა ქვეყნის, ხალხის წინაშე ილია ჭავჭავაძის აუწყავი დამსახურების შესენებისა, მიზნად ისახავს იმ სამარცხელო ტენდენციის აღმოფხვრას, რომელმაც ბოლო თამს ფეხსი გაიდგა ჩვენს ყმაწვილებსა და ახალგაზრდობაში და რომელიც ამჟღავნებს თქვენი თანატოლებს იმის ერთი ნაწილის სრულ უმცირებას საქართველოს ისტორიის, მისი სასიქედლო შვილების ღვაწლისა და დამსახურების საკითხებში. რედაქციის გადაწყვეტილება, კვლავ და კვლავ ესაუბროს „ნაკადულს“ მკითხველს ილია ჭავჭავაძის უდიდეს ღვაწლსა და დამსახურებაზე ერისა და ქვეყნის წინაშე, ყველაფერთან ერთად განაზიოებულა იმ ყოვლად შეუწყნარებელი გამოვლინებით, რომელმაც თუნდაც „მთავარი გაზეთის“ მიერ რამდენიმე წლის წინ ილიას, მისი შემოქმედების და დამსახურების შესახებ თქვენი თანატოლებს გამოკითხვისას იჩინა თავი. თავს უფლებას ვაძლევთ მხოლოდ რამდენიმე ამონაბეჭდი შემოგთავაზოთ ამ გამოკითხვებიდან:

ბიორგი მემლიტაშვილი, მე-7 კლასელი.

- ილია ჭავჭავაძე მწერალი იყო. ნაწარმოებებს წერდა.
- მის რომელიმე ნაწარმოებს ზომ ვერ გაისენებდი?
- შვილის ნუკრის ნამაობი, თუ შველის ნამაობი... ზუსტად აღარ მახსოვს.
- იქნებ რომელიმე ღმრისც ვახსოვდეს?
- არა, არც ერთი არ მახსოვს.
- სკოლაში ილია ჭავჭავაძის შესახებ რა ვასწავლეს?
- ცნობილი მწერალი იყო.
- მის შესახებ სხვა არაფერი გსმენია?
- არა, სკოლაში მეტი არ უსწავლემობია, პროგრამაში არ არის.
- თავად არ ვითხულებ წიგნებს?
- როგორ არა. მარც ტექსტს და მარჯვ დიკენს ვითხულებ ხოლმე.
- ქართველი მწერლების წიგნები არ მოგწონს?
- არც ისე, დიკენსი მიჩრჩენია.

მარიამ გომორიძე, მე-8 კლასელი:

- ილია ჭავჭავაძე მწერალი იყო, ცნობილი მწერალი. ძალიან კარგი ნაწარმოებები აქვს.
- იქნებ რომელიმე ვახსენო?
- ილია ჭავჭავაძის... ვერა, ვერ ვახსენებ (საკმაოდ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ).
- ლექსებიც არ ვახსოვს?
- ლექსები საერთოდ არ მიყვარს და არც ვსწავლობ.
- მერე სკოლაში არ გსჯავდებოდა?
- კი, როგორ არა... შარშან გვასწავლდნენ. წელს ვერ არ ვაგვივლია პროგრამაში.

მპა ნიძოზაძე, მე-9 კლასელი:

-ილია ჭავჭავაძე ძალიან ცნობილი მწერალი იყო. მაგრამ რომ ვითხრათ, ჩემი საყვარელი მწერალია-მეტი, ტყუილი იქნება. მართალია, კარგი მწერალი იყო, მაგრამ ნოდარ ღუმულები უფრო მომწონს. ძალიან დიდი სიამოვნებით ვკითხულობ მის ნაწარმოებებს.

ზაზა გომეზაძე, მე-11 კლასელი:

- ილია ჭავჭავაძე? ვინ იყო ილია ჭავჭავაძე? (შეკითხვა გვერდითი მდგომარეობით). მწერალი იყო (გვიპასუხა კარნახის შემდეგ).
- ზომ არ ვახსოვს, რა დაწერა?
- საიდან უნდა მახსოვდეს? თავი დამანებე, რა...

ილია ჭავჭავაძე

1893 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძემ კახეთი (მამონდელი თელავის მარა) ინახულა. რასაკვირველია, თავის სამშობლო ვერცხვამაც შეიარა, ამ მოგზაურობის მიზეზი, როგორც ერთი ამბობდნენ, იმის გამოკვეცა იყო, თუ რამდენად დაიშმა იმ წელიწადს კახეთი. მართლაც, მოუსალოებამ იმ წელს პურის დიდი ნაკლებობა გამოიწვია კახეთში. გლეხებიც კი სოფლებიდან თელავს მოდიოდნენ ტფილისიდან მოხილული ფეხების საყიდლად. სამაგიეროდ ილიას მოწინააღმდეგე ბანაკი ამ მოგზაურობას ბანკის საარჩევნო კამპანიად სთვლიდა. ძალთა მოკლების სამზადისად - 1894 წლის არჩევნებისათვის.

რავა თქმა უნდა, თელავის საზოგადოება დიდი გულისხმიერებით შეხვდა ილიას ჩამოსვლას. არც ის არის საკვირველი, რომ ეს გულისხმიერება მან საზოგადო სადღიოდ აღნიშნა თელავის ისტორიული ჭადრის ქვეშ. ეს სახეულანთქმული ჭადარი ერთი იქაური თავადშვილის პაღში იდგა. თუ არა ცვდები, ბაღი იჯარით იყო გაცემული და მოიჯარადე სულ მცირე ფასად უთმობდა, ვისაც სურდა, ამ შუების ადგილს.

ჭადარი მართლაც საუცხოო რამ იყო. მისი უზარმაზარი ტოტები, ფართოდ გაშლილი, ადვილად დაიტყვება ას, ორას კაცს სანადიმოდ შეგროვდნენ. იქვე ცოცხები წყარო და ვახუშტი-ლარი. თანაც ისეთ ადგილას, სადაც გამძლე-გამომძლევი ნაკლები იყო.

აი, ამ ადგილას, სალხინოელსა, პირველად ვიხილე ილია ჭკვევცაძე.
 თუმცა ნაგუბოისი და ყრბოისის არა ერთი წელი გამეტყარებინა ტფილისში, თუატრშიაც სულ პატარამ დავიწყე საიროული, მაგრამ ილია ჯერ არ მენახა. აკაკის ბავშვობადანვე ვიცნობდი, რადგანაც ჩვენს ოჯახში დაიარებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა მღელვარებას განვიცდიდი ამ ნახვის მოლოდინში დანარჩენ ახალგაზრდებთან ერთად, რომელნიც ამ ნაღმს დაესწრნენ.

ხუმრობა საქმე იყო? ილია, დიდი ილია, რომელიც, ისე, როგორც აკაკი, მარტო სახელით იხსენიებოდა, და გვარს არავინ დააყოლებდა, როცა მას ასახელებდა, უნდა ვიტყვას და მასთან უნდა გვეჩადია. სიტყვა „გვეტყვიანს“ იმდენად გულგარულია, რომ ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაბედავდა ამის თქმას.

ილიასთან ქვიფი? ვის ეკადრება? ვინ გაბედავდა ამაზე ფიქრსაც იყო? ილია ისეთ მაღალ კვარცხლბეგზე იდგა ყველას წარმოდგენაში, რომ ჩვენ შეგვეძლო მარტოოდენ გულის კრთომით ცქერა, მოსმენა და აღუცტება. ასეთი იყო სულისკვეთება თითოეული ჩვენთაგანისა, თითი იმაიციკი, ვისაც, ჭაბუკიანის მიუხედავად, უკვე შეეჭობა ცხოვრების იმ წიაღში, სადაც ქვიფი, სკანდლები და სხვა ამისთანები ჩვეულებრივი ამბავი იყო.

და აი, ვიხილე ილია, არა მის მოთხრობებში, არა მის პიუტებში და ლექსებში, არა მის სიტყვებში (ვახუშტოვით), არამედ ცოცხალში, ხორცოვნისხმული ადამიანი.

ილიას გარეგნობა სწორად და მოხერხებულად აქვს აღწერილი იაკობ მანსვეტაშვილის (ი. მანსვეტაშვილი „მოხერხებანი“), მაგრამ იყო რამეში არ ვეთანხმები. ილია არ იყო ისე უმწირობა ბულებიანსა, როგორც იგი წარმოვიგონებდა, არც ისე მოძვრო ტანისა. რასაკვირველია ილიას საქანდაკი ფიგურა არა ჰქონდა. იგი იყო შუათანაზე ცოტათი დაბალი, გუმბი, არა ბურთივით მრგვალი, როგორც ვრიგოლ ორბელიანი იზიჯებოდა თავის მიკვლავ ლექსში. გულმკერდ აღმოვიხილულს, ის ნაწილი სხეულისა, რაც ნეტარსინებულად ეკარასას თავის საიამყედ მიანდა, ი.ე. ბურჟუაზიული დარბაისლობის აუცილებელი ატრიბუტი, „ღიპი“, ილიას სულ არ ეტყობოდა. მისი აგებულების ნაწილი დაბალი კისერი იყო. სამაგები-

როდ, სახე იშვიათი სილამაზისა ჰქონდა, ამ სახეს აცისკროვნებდა მაღალი, საბეჭი უბელი, საამურა მეტყველი თვალები, სწორედ სურათოვანი ცხვირი მუხნებარე ნისტოებით, ენერჯის და გრძობის (არა ენების) კამონასხვედი ტურები. ამას გარდა, ჰქონდა ერთი მაღლი, რაც იმ გუმბს და მაგრად შეკრულ ადამიანში საიშვითო იყო. ეს იყო ანის საკვირველი ფერი, საბლის ძელის სითიერი, რომელსაც ოღნავი სივითილე შეჰპარვოდა, რაც ასე აკეთილშობილიდებდა ამ სითიერეს.

ილია რომ ენახე პირველად, 55-56 წლის იქნებოდა. ოღნავ შეკვარავებული იყო და შუახანისაზე მეტი არ გეჩვენებოდათ. თმა ილიას (უკანასკნელ დღემდე შერჩა) არ ჰქონდა აკაკისავით პოეტურ ფაფად აქოჩრილი, რაც ასე ამშვენებდა ამ ბიბლიური გარეგნობის ადამიანს. ჯერ კიდევ შავი, შუაზე გაყოფილი თმა ილიას დინჯავ, უყინიანოდ ელავა ორივე მხრით, თანასწორ დახვეწილი. მხოლოდ ერთადერთი, ფოტოგრაფიული სურათი იძლევა ილიას სახის იერს, ისიც მხოლოდ ანაჩეკლად. ვიგო გაბაშვილის ფერწერაში სურათი გვიხატავს ილიას, უკვე ხნორანებით დაძმებულს, მაგრამ ენერჯით საესეს.

კახური სუფრა. კახური ნაღმის ბეგრს ამ სიტყვებზე თავაწვეტილი მადის განხლებდა, დროება და „ღუბეღუბე“ სმა წარმოდებდა, როდესაც ცაცს ათეწველბა დრო და სივრცე, ზომა და საწყველი. დასასრულ „დალივი, არ დაეკლდე“, ლაწი-ლაწი, ხანჯლების აპრი-ალება და დღეიდარაბა. ასეთი არ იყო ილიას საპატიოდ გამართული ნაღმის. ჯერ ერთი, ილიას გარშემო დარბაისელი ხალხი ეხვია; მეორე, მოქვიევა ახალგაზრდობა თავშეკვეტილი იყო. ერთმანეთ თვალყურს ვადევნებდით, რომ არავითარ არ შეგვებღლა პატვიის სცება ილიასაღმ. ამ რიგობაზე თითქო ყველას გეგასსოვდა ხალხის ბრძნული ნათქვამი: „ჭამით უნდა გაძლე და არ გასუქდე“. მართალია, ბევრი ჰქოცა დალია, ბევრი საგულისხმო სიჭკვერძელი ითქვა, მაგრამ ყანწი და სხვა ამჯობარი სასმისი არ დატრიალებულა. ამიტომაც ნაღმის წესიერად მიმდინარეობდა.

სიტყვა სიტყვას მისდევდა, სიმღერა – სიმღერას, კახური სუფრის მშვენიერა სიმღერა. თითქო განგებ შევირდოვიყენ იმდრინდელი საუკეთესო მომღერალი – მძანი კოხმანიშვილები, კიკო ჩოლოყაშვილი, ლევან ჯანდიერი, რეზიკო ყა-


რალაშვილი და სხვანი. ეს იყო ძველი თობა. ახალგაზრდებშიაც იყენებდნენ მომღერალნი.

მე პირადად არასდროს ვინც ვინმის არც შემდეგ არ მომისმენია კახური ძველი სიმღერები: გრძობი მრავალკაბიერი, ჩაკრული და სხვ. ასეთი მშვენიებით და მეტყველებით თქვილი სოსიკო კოხმანიშვილი იმ დროს უკვე კარგად მოჭარბებული კაცი იყო. მაგრამ მას მაინც უხადოდ შეგანრქუნებინა თავისი შესანიშნავი ხმა და ნაშეტნავად კი საკვირველი კილო სიმღერისა. როდესაც მისმა ხმამ მრავალკაბიერის ასაკიდებელში სახუნტო წერტილს მაღარა და სიმითი აფერდა, მისი ბიძაშვილის ხმაშობაილი უსურვაზივით ახვევდა მას და საკვირველ გრეხილბეს აკეთებდა, თითქო ბგერათა ვერილანდებს სწნავსო. ბანმაც გარდიგარდმო გაიწია და გვეკუნი იწყო, მოვლანი გაუშლავ პირველისა და მოძხილის ნავარსა.

ილიაზე ამბობენ, სმენა არა ჰქონდა, სიმღერა არა ხილავდა, უნდა ადვინში, მან პირველმა დასწერა საუკეთესო წერილი პირველ ქართულ (დალარ ადვინშილი) გუნდზე ისეთი უნართი და ხალხური სიმღერების ისეთი ცოდნით, რომ კარგ საქციალისტსაც მოუეცვინებდა ასეთი ზედმეტიწილია. ამას გარდა, მე შემთხვევით მინდა, უკვე კარგა ხნის შემდეგ, ერთი ილიაობა დღეს საგურამოში, მომესმინა მისი კრიტიკა ზოგიერთი კახური სიმღერის აღსრულებისა, როდესაც ტფილისიდან სტუმრად მოსულმა ახალგაზრდებმა სცადეს ამ სიმღერების თქმა, – არა, ეგ კახური სიმღერა არ არის, დამახინჯებულია, ძველები სხვანაირად მღეროდნობა.

ახლა, ამ ნაღმზე, სიმღერის დროს, როდესაც თვალს ილიას სახის მეტყველებას ვადევნებდი, ნათლად ვხვდავდი, რომ იგი უმთხოდ დამტკბარი იყო სიმღერით. მისი მწვაზარი, სიციხლით სასვე თვალები – ეს „ჭკუაგონების სარკმელი“, აკაკის თქმით, არტაკებით მისწრებოდნენ მოხუცებული კოხმანიშვილის სახეს და ხანდახან კრემლით ციალებდნენ. ილია მშვენიერ მულოდინად მთელი არსებით, საამო ჟურნალად მთელი როგორც მისი სხვის, ისე უყურებდა.

რა ვიცი, ვისაც შეუძლიან სიმღერით ასე დღებკობა, იმას სმენა აკვეთილი არ უნდა ჰქონდეს. მას გარდა, მაკავარიტ წერი მის საკვირველ რიტმს პროზაში, რიტმს, რომლის მსგავსს



თავმოწონებული იყო, რომ მეველ თაობაზე გაიმარჯვა. ამ თავმოწონებაში მით უფრო იმატა. რამდენიმე დღის შემდეგ ახალგაზრდა ორატორის სიტყვა გაზეთში დაბეჭდეს. ჩვენ კი ქვეშენბოლეთ ჩვენს ამხანაგს: — არამც არამც პირი არ დაიბანო, პოეტური ძირინი — ილიას კონცა არ ჩამოგერეცხოსო.

ნადიმზე ცოტა ილაპარაკა ილიამ. მან დაიწყო ინდური თქმულებით, — ბავშვო, შენ სტირი, როს იბადები, შენს გარშემო კი ყველან იცინიან და ხარობენ! იცხვრე ისე, რომ შენ ილიბოდე, როს აღსრულდები, და ყველანი შენს გარშემო სტირიონენიო. ამ თქმულებაზე ააგო თავისი მოველ სიტყვა. აღმაინის მოვალეობაზე ქვეყნის წინაშე სიტყვა მით დაათვა, მეტისმეტი ქება-დიდება მოვისმინე თქვენგან, რის ღირსიც არა ვარო. ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ კახელინი არა მარტო ხელგაშლილი და გულუხენი არიან, არამედ წრესგადასული ბედოვლანიიციო. ეს ბედოვლათობა მის განდიდებას ეხებოდა.

უკვე კარგა შეზინდებისას ილია სახლამდე სიმღერით მიტყავდებოდა სხვათა შორის, აღსანიშნავია, ის რომ სამსახურში მუხე არ იყო არც ტრადიციული ზურნა, საზანდარი და არც ქართული ცეკვა.

არის ცხოვრებაში ისეთი შეხვედრა, თუნდაც შემთხვევითი, რომელსაც შეუძლიან ღრმა კვალი გააგოს ადამიანის სულიერ არსებაში. რა იყო ამ შეხვედრაში განსაკუთრებული? ილიას ისეთი არა უთქვამს რა, რაც წინააღიარებდა არ გამგეონოს, ან არ წამეკითხოსო. მაგრამ მაინც რაღაც ახალი რამ შეიტანა მისმა პირადად ნახვამ ჩემს სულიერ საღაროში. ვინებით განუჯვლია და სიტყვით გამოუთქმელი ის, რასაც მე კარგა ხანს განვიცდიდი ამ შეხვედრის შემდეგ. და აი ახლაც, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, უკვე სიცოცხლის მიწურულში, წარსულის გასწვნივამ იმდენად ცხოველყოფილია, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი მე კი არ მეკუთვინის, 65 წლის მოხუცს, ცხოვრებასაგან საკმაოდ ნაქიმურჯევს, არამედ იმ ოცი წლის ჭაბუკს, რომელიც უზომო სიამით და თანაც მოკრძალებით შეცტეკეროდა ილიას მშვენიერი სახეს.

მთელ ჩვენს ლიტერატურაში ვერსად შეხვდებით. რიტმი ხომ იფივე მუსიკაა და ეს კი უსმინოდ წარმოუდგენელია.

რავა თქმა უნდა, ნადიმზე ბევრზე უბევრესი სიტყვა წარმოითქვა, ქებით და ხობებით ილიასადმი მიმართული. სხვათა შორის, ახალგაზრდობის სახელით, ერთმა ჩემმა ამხანაგმა მიმართა. სიტყვა ურიოდ არ იყო დალაგებული, ეხებოდა ლექსს — „პოეტი“ („მისთვის არ ვმღერ, რომ ვიძღერო, ვით ფრინველმა გარეგანმა“) და იშლებოდა ისე, თუ როგორ გაამართლა ილიამ პოეტის მოწოდება. რასაკვირველია, ეს სიტყვა ექსპრომტი არ იყო, იგი წინდაწინვე იყო დაწერილი და, ალბათ, გაეპირებული. მაგრამ ისეთი აღფრთოვანებით და უშუალო გრძნობით წარმოითქვა ახალგაზრდამ სიტყვა, რომ მთელი საზოგადოება ტრამით შეხედა. ილიას, ალბათ, მოეწონა სიტყვა, რადგან სმენის დროს სიამონების რიბილი უკრთოდა ბავებზე, სუფრის თამადა ხომ (ლევან ჯანდღერი) ალტაცებული ზეზე წამოიჭრა და კილოშეკიდებით ილიას მიმართა: — შენმა გენიოსობამ, აქაც სასწაული მოახდინა, მან სული შთაბერა ამ ბავშვს და ათქვეენა ის, რაც ჩვენნი, შენი თაობის ხალხმა, ვერ ვითხარით, როგორც სუფრის ბატონ-პატრონი, მოვითხოვე, ამბორით დაავიღლოვო იგი.

— დიდი სიამონებით! — უკასუნა ილიამ თამადას რიბილით და შუალზე აკოცა ჩვენს ამხანაგს, ხოლო იგი მკერდზე ეამბორა. ახალგაზრდობა ძალიან



ილია ჭავჭავაძე (პირველ რიგში, მარჯვნიდან პირველი) და ილია ჭავჭავაძე (შპანა რიგში, მარჯვნიდან მეორე) დუშაისის სასოგადოებაში (1870წ.)



ფოტო+ინფორმაცია

სასულიერო გიმნაზია გოჩში



ქ. გოჩში გაიხსნა ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის სახელობის სასულიერო გიმნაზია, რომელმაც სამეფო ქუჩაზე მდებარე 90 წლის წინ გაუქმებული სასულიერო სასწავლებლის განახლებულ-გალამაზებულ შენობაში დაიღი ბინა. სხვადასხვა დროს გოჩის სასულიერო სასწავლებლებში სწავლობდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები: წმინდა კირილე II, პატრიარქი ფერეწ II, პატრიარქი ფერეწ II, იოსებ ჯუღაშვილი, იაკობ გუგუშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, იაკობ გარეჯელი და სხვები. ბევრი მათგანი მერე თავად ასწავლიდა ყმა-წვილებს ამ სასწავლებელში.

ახალგახსნილ სასულიერო გიმნაზიაში, რომელშიც სადღეისოდ 80 მოსწავლეა, საყოველთაოდ მიღებულ სასკოლო საგნებთან ერთად ისწავლება ძველი ქართული ენა, საღვთო საყვლა, მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია, ხელოვნების ისტორია, ქართული ხალხური სიმღერები, საეკლესიო საგალობლები, ხელოვნება.

„ბიეცი ნიჭსა გზა ფარობ...“

გასული წლის მიწურულს სასტუმრო „ქორთიარდ მარიტის“ საპროგრესიული დარბაზში გაიმართა მოხარული ყოველწლიური ლიტერატურული კონკურსის „აღივლება - 2006“ გამარჯვებულთა და ნომინანტთა დაჯილდოება და კრებულის „აღივლება - 2006“ პრეზენტაცია.

ნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის წარმომადგენლობა და კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომისტების შენარჩუნების ფონდი, ასევე საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, წიგნის

ღლევა ერთწლიანი სტიპენდიებით ფულადი პრემიებით და საწუქრებით, ყველა მონაწილეს ვადაცა დაილოში და სამასობრივო საწუქარი. თურმე 16 ნომინანტი გამოავლინა, მათ გადაეცათ ფასიანი საწუქრები, ხოლო პირველი, მეორე და მესამე ადგილების მფლობელებს გადაეცათ შესაბამისად 100-ლარიანი 80 და 70 ლარიანი სტიპენდიები, რომლებსაც ისინი ერთი წლის მანძილზე მიიღებენ. დაჯილდოვდნენ ნომინანტებში გამარჯვებულები: „სოციალური თემა“ (თამარ ელიშვილი), „ქართული ამავე“ (თამარ ნამგალაძე), „საუკეთესო სათაური“ (ანი ბერიშვილი), „ინთიკონოლოგები“ (ჯანელა მუხაჯაბა), „სიყვარულის ამავე“ (ლელა ბურჯანაძე), „სასაცილო ისტორია“ (შალვა ჯობხაძე), „საინტერესო თავდასავალი“ (გიორგი ჯამბურია), „პარიზი მიწაზე“ (ქიქოთური), „რიტმული პრეზენტაცია“ (ნინო კვამჩი) და სხვა. პირველი პრემია დამსახურა ალექსანდრე ნებუნაშვილმა, მეორე - გიორგი ორახელაშვილმა, მესამე - ქაბო მრეკლავიძემ.



მაღაზიათა ქსელი „პარანაში“, გამოძეგვლობა „სარი“, „წიგნის სახლი“ და ქინინი ქადაგიძე-ფანაია, ბაკურ სულაკაურის გამოძეგვლობა და მაღაზია „სანტა-ესპერანსა“, გამოძეგვლობები „ლიტერა“, „ლიტერა“, „ლიტერა-პრესი“, „ნეკერი“, პირველი ელექტრონული გამოძეგვლობა კავკასიური სახლი, გამოძეგვლობა „ბაკმი“, ყურნალი „ლიტერატურული ძალიტრა“, კომპანია „ელიტ-ელექტრონიკა“ კონკურსის 30-მდე მონაწილე დაავი-


კონკურსის ორგანიზატორები იყვნენ კავშირი „ახალი ხელოვნება“ და „ელიტ ელექტრონიკის“, თურის წევრები კი გახლდნენ ლელა ოჩიაური, თეონა დიდენჯავაშვილი, რეზო გეთიაშვილი, შალვა ბაკრაძე.

კონკურსი „აღივლება - 2006“ გამოცხადდა 2006 წლის 16 მაისს და მასში მონაწილეობდა 373 მოზარდი (13-დან 19 წლის ჩათვლით) საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

კონკურსი გამართა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე საეკლესიო კომისიამ გადარჩია შემოსული თხზულებები და მოამზადა ნამუშევართა პაკეტი, რომელიც გადაეცა თურის. მეორე ეტაპზე თურის წევრებმა გამოაჩინდნენ გამარჯვებულები და ნომინანტები.

კონკურსის თანამდგომი ორგანიზაციები იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, WWF ბუ-

საკეცლური პრემია 500 ლარი გადაეცა ეროვნებით არაქართველ მონაწილეს, ნინოშენდელ ზოია ბუხიანს, ასე-ითვე თანხით დაჯილდოვდა საუკეთესო მინიატურის ავტორი ნუცა ნიაკიძე.



ზედნორიკი ის, ვისაც სჯაბარ, რომ...

წემიანი დილა გათენდა. ბრველიც ვეწე-
ლავერი ცივი ჩანდა, მიუსაფარ ბავშვთა
სახლში მორიგე დილა გათენდა. ბავშვები
სწრაფად ააყენეს და სადილად დასხდნენ.
ერთ-ერთი აღსაზრდელითაჲნი, რომელიც
ახალი მოსული იყო, პირს არაყვებს აკა-
რებდა. მის გულში დიდ სევდას დადიო-
და, რომელიც ნელ-ნელა უხერტებდა შუ-
ბს. არ გავიდოდა წამი, რომ თავის მშობლე-
ბზე არ ვფიქრა. მამა დაეუბნა, ხოლო დე-
დამ მისი რჩენა ვეღარ შეძლო და...

ბავს დილით ერქვა. მოსვლის დღიდან
არ გაუცინია, ზოხდს ვერც და ეს კვლევები,
საწოლი და ყველაფერი, რასაც შეზება
ქჳრდა ამ სახლთან. ხვდავდა, როგორი
სიძულვილით იყვნენ გამსჭვალულინი ის
ბავშვები, ვისთან ერთადღაც ცხოვრობდა.
მათ სძულდათ ყველა, ვინც ამ ცხოვრებაში
ბედნიერი იყო. დამეობრება მოსილილ ერთ
გოგონასთან მოახერხა. ძალიან ლამაზი და
სათნო იყო. მან არ იცოდა, რა იყო სიძუ-
ლვილი, შური, დვარპობი. მას სჯეროდა
რომ ერთ დღეს ყველას დაბრუნდებოდა
მშობლი და ბედნიერები იქნებოდნენ. ცდი-
ლობდა ამ რწმენით დაითვი ავესო. ბავს
თითქოს ნელ-ნელა შორდებოდა და ამ გა-
საცდელის გამო გული სტივდა. აკლდა
სიყვარული, სიბოძა და შურდა ამ ბავშვე-
ბის, ყოველდღე რომ უშხერენ დედის სი-
თბითი საყვ თვალებს, შემდეგ მამა გა-
ახსენდა და უნდოდა ცოტა ხნით მათ
დაბრუნებულეთი მასთან. „რა საშინელია
სიკვდილი! ამქვეყნად ბილიონობით ადამი-
ანი იბადება, მაგრამ იგი, რომ მას ვინც
კვდება, ვერასდროს დაიბრუნებ, ვერასო-
დგეს დაინახავ და ველარასილეს ვაივინებ
მის ხმას“. უცებ შევმინდა საკუთარი ფი-
ქრებისა, შევმინდა დღეც ამ სათქარცა. ისე
მოუწადი დაღებოდა და მისი სიბოძა ვერ-
ძნი, რომ ატრდდა. ამასობაში კი დრო გა-
დიდა. ზამთარიც დადვა. ახალი წლის
წინა დღე იყო. დათო მოყვნილი მიხსრე-
ბოდა კარს და იქ დღის გამიზინას ელო-
და, მაგრამ იგი არ ჩანდა. და აი ახალი
წელიც გათენდა. ბიჭი ცრემლებს ვეღარ
იკავებდა. უნდოდა მთელი ხნით ეტირა და
იკაურბოდა დაღებოდა, მაგრამ თავს იკავე-
ბდა. დაღამდა ისე, როგორც დანარჩენი
დღეები. დათო საწოლში ჩაწვა და ტი-
როდა. თორმეტობა რომ შესრულდა, თავზე
ბალიში აიფარა, რათა ის შინარელება არ
გაეგო, რაც მასობილელ შემთბობს იფა.
ყველაფერი რომ ჩაწყარდა, ბალიში მო-
იძირი და შეტება, მის წინ თოვლის ბაბუა
იდგა. მას არ სჯეროდა თოვლის ბაბუის
და კეთილი ფერიების, მაგრამ ეს ისე გა-

დი იყო — იგი მის წინ იდგა და აღერსი-
ანი დომილით იღიმებოდა. ამ დომილით,
რომელიც ასე აკლდა და ენატრებოდა მას.
თოვლის ბაბუა ასეთი ხნით სთხოვა: „სუ-
რელი ჩაბეჭექე.“
ცრემლნარევი ხნით უსაუხრა: „მე დე-
დათთან მინდა დაბრუნება...“

სთოვლის ბაბუამ გაიღიმა, თითქოს
იცოდა მისი პასუხი. შუბლზე აყვია და
გაქრა. მეორე დღით ზღურბლისთან დაიბის
დედა იდგა და მის წყევანას ითხოვდა. ბი-
ჭი სახლში დაბრუნდა, თუმცა ხშირად ნა-
სჯლობდა თავის მეუბარს, რომელიც დი-
დი სინარულით ხვდებოდა. ყოველდღე სა-
თნელს ათნიდა დაბო და ლოცულობდა,
რომ თოვლის ბაბუას ყველა ბავშვობის
დაბრუნებინა მშობელი. ბედნიერია ის, ვის-
აც სჯერა, თოვლის ბაბუების და კეთილი
ფერიების, რადგან მართალია, მათ ვერ
ხვდებით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ
არ არსებობენ.

თითქო პარაპარავილი,
ქ. რუსთავი, სკოლა „ნაკადული“

ტყეში დაკარგული ბავშვის ამბავი



შუა ტყეში აღმოჩნდა. დარჩა მარტო. რა-
ღამდა, ძალიან შევმინდა. ის იყო, უნდა
ეტყრა, რომ გაახსენდა პაპას ნაბეჭავით, თუ
ტყეში მიხვდები, ხეების მიხედვით შე-
იძლება გამოავნი გზაო. პაპამ ისიც უთხ-
რა, ჩემი სოფელი ტყის უდავლელობით
მღებარაობს, ხავსიანი ხეები უნდა მოიქ-
ნებო, საითაც ხეებს უფრო მეტი პაპისა ექ-
ნებოდა, ის იქნება ჩრდილოეთი. მის პირდა-
პირ — სამხრეთი, ყველაზე შრალად მხარე
იქნება აღმოსავლეთი, მის პირდაპირ — და-
სავლეთი. გიორგიმ იმავე წელს დაიწყო
ხავსიანი ხეების ძებნა, მართლაც ნახა ყვე-
ლაზე ხავსიანი ხე და ზუსტად ისე მოი-
იქცა, როგორც პაპამ უთხრა, რადგან სო-
ფელი ტყის დასავლეთით იყო, წავიდა და-
სავლეთისკენ და სულ მალე მივიდა ტყის
სათავეში, სადაც პაპა ელოდებოდა.

პაპა ნაბეჭავილი და შემინებული და-
ხვდა. გიორგის გაცინდა და უთხრა: „მე არ
მიტოვია და შენ, ამოდენა კაცი, ტირი-

ხარ“! პაპამ უთხრა: „მე შენზე ეწერი-
ულობილი“. გიორგიმ კი უსაუხრა: „ტყე-
ილად გენტრევილია, მე შენი მონაწილე
ამავე გამახსენდა და დაბრუნდი“. პაპას
ძალიან გაუხარდა, რომ გიორგიმ მისი ნა-
თქვამი არ დაღივწყა და დაპირდა, კიდევ
ბევრ ასეთ ამავს მოვიყვები და დაარე-
თო. თუ ასე კარგად დაიბახსოვრებ ცხოვრებაში
არ წავაგებო.

ახალი წლის მოსვლა

იყო და არა იყო რა, არის და ყოვე-
ლთვის იქნება ახალი წელი, რომელიც ერ-
თოსა და იმავე დროს დაუპატრონობს შე-
მიღის ყველას სახლში, მაგრამ მინც ყვე-
ლა ელოდება და ეწვავება მის შესახებ-
დრად. ირთება ნაბეჭის ხე სათამაშოებით,
ესწავბა სუფრა. ამ დროს აუცილებელია
სუფრაზე იდოს გოზინაყი და ჩურჩხელი.

ახალი წლის შემოსვლის დროს ანთე-
ბენ შუშუნებს, აივნიდან ისვრიათ თიფის
და სვაიმენ მის ხალაგებოლის. დიდი სი-
ხარულით ელოდებიან ბავშვები მის შემე-
ბრანებას. თოვლის ბაბუა ჩუმიად შემოდის
და საჩუქრებს ალავებს ნაბეჭის ხესთან.
ბავშვები გაღვივებისთანავე გარბიან ნაბეჭის
ხესთან და საჩუქრებს ათვალავებენ. შე-
მდეგ ერთმანეთს ურცავენ: „მე ბურიბი მო-
მიტანა, მე წვინი, მე თოვლია“! და ა.შ.

მართალია, ახალ წელს ყოველ მო-
სვლაზე წელი ემატება, მაგრამ არ ბე-
რდება.

ახალ წელს ტყეც დიდი ხმარობით
ხვდება, მე ასე მგონია, რომ ლომი ვაღმე-
დებდა კვლევებ და დიდ ხმამზე ღრიალებს,
მას მოყვება სხვა ცხოველებიხა და ფი-
ნელებების ხმაც, აღბათა ძალიან ღამაში და
საოცარი იქნება ამ ხმის გავიონება. ამ
დროს არც ადამიანები და არც ცხოველები
ერთმანეთს არ მტრობენ. ყველა ერთად
ელოდება რაღაც დიდსა და კარგს. ღრტეც
სულ ახალი წელი იქნებოდეს!

ალექსანდრე რაზმაძე,
ნიკო ბაგრატიონის სახლობის
თავადაზნაურთა სკოლა-ლიცეუმი

ბაჭი

ბაჭიას მისდევს მეგობრი
მეორი, თხავს სელი.
აჯანჯახებს ბაჭიას
საწუელსა და ზრანჯიას.

თათია ლიპარიძევილი,
რუსთავის მე-4 საჯარო
სკოლა, II კლასი

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს“

საქართველო
თბილისი

ჩემოდნუ მინამი მიდგას



დირექტორი მანანა გვირგვინიშვილი

„ფესვები“ – ასე ჰქვია შპს „შვი-ნდას“ მიერ 1995 წელს დაფუძნებულ მართლმადიდებლურ სკოლას, რომელიც დიდ დიდიმში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩაზე მდებარეობს. სკოლის ლოგოზე აღბეჭდილი ეკლესიის გუმბათი და მისგან გამომავალი ფესვების სახით ხატოვნად გამოსახული სკოლის სახელწოდება და დევიზად არჩეული სტრიქონი – „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“ ცხადად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ეს სასწავლებელი ჭეშმარიტი მამულიშვილების აღზრდაზეა ორიენტირებული.

„ფესვების“ ერთ-ერთმა დამაარსებელმა და მისმა უცვლელმა დირექტორმა მანანა გვირგვინიშვილმა თანამოაზრე პედაგოგთა გუნდთან ერთად ასე ჩამოაყალიბა სკოლის უმთავრესი მიზანი – განათლების ამ კერაში ცოდნას ბურჯად რწმუნა უნდა შეუდგეს და სწავლა-აღზრდის პროცესი დიდი ილიას ბრძნული შვილების „აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს, საზრდოიდ ხნაობად ქრისტესა მცნებას...“ დღევანდელგობასთან მისადაგებით უნდა წარიმართოს.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი სხვადასხვა თაობის საუკეთესო სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რომლებიც ერთგულად უდგანან მხარში ქალბატონ მანანას და მაღალი მასუხი-სპეციალისტის შვეგებით ემსახურებიან საქართველოს მომავლის მაშენებელთა განათლება-აღზრდის საქმეს, ამთავითვე უწერავენ ყმაწვილებს, რომ ჩვენს ერს,

ქვეყანას ზნეკეთილი, გონიერი, შრომისმოყვარე, განათლებული, რწმენით, სიყვარულით აღსავსე მამულიშვილები სჭირდება და სამშობლოს სამსახურისთვის ამზადებენ მათ. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ სკოლის კურსდამთავრებულები აქ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების წყალობით, ყოველგვარი სპეციალური მომზადების, რეპეტიტორებთან მეცადინეობის გარეშე წარმატებით აპარებენ ეროვნულ გამოცდებს უმაღლეს სასწავლებლებში. დღეს „ფესვების“ ყველა აღზრდილი


დიდებული პედაგოგია, საუცხოო ფსიქოლოგი და მრავალმხრივ განათლებული პიროვნებაც გასლავთ, საღმრთო სჯულთან, ქრისტიანულ კულტურასთან შინიებული სახით ასწავლის იგი თავის საგანს და შედეგსაც საუკეთესოს იძიკს. საგნის ჩინებული სპეციალისტები და გულისხმიერი, ბავშვების საყვარელი პედაგოგები არიან: სასწავლო ნაწილის გაბე და ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი მარინა ხოჭოლავა, მარინა მირიანაშვილი (ინგლისური ენა), ნათია ფერაძე (ქართული



პირაკლის სკოლაში

სტუდენტია, მათი 60% კი სახელმწიფო დაფინანსებით სწავლობს. ყველასთვის სამკაალითაა პედაგოგიურ კოლექტივში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნანა გვილავა, რომლის მსგავსი პედაგოგები სკოლის დირექტორის აზრით, ქვეყანაშიც კი თითზე ჩამოსათვლებელი არიან. ქალბატონი ნანა, გარდა იმისა, რომ

ენა და ლიტერატურა, ქრისტიანობის ისტორია, ზაზა ჩაჩავა (საქართველოს ისტორია), მარინა სუარიძე (დაწყებითი კლასები), გაბრიელ შალიაშვილი (საქართველოს ისტორია), თამარ სხილაძე (მათემატიკა), ეს უკანასკნელი მართლმშენაწი მასწავლებელი კი არ არის, არამედ მთელი სკოლის სული და გული, კოლეგებისა და მოსწავლე-



ტბითვის უბანში

ების გულთამხილავი და გაჭირვების ტალღებისა. (ციტა ხნის წინ საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ პატაჟ კვარაცხელია და თემურ გეორგიშვილი, პირველი მღვდლად ეკურთხა, მეორე კი სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ მათი ძალი დღესაც ატყვია „ფესვეების“ მოსწავლეებს, სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი აქაურ მოსწავლეების მიერ საქართველოს ისტორიის ღრმად, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით შესწავლის ტრადიციას).

აი ამ ადამიანების შერებზე დგას სკოლა, რომელიც ყველაფერთან ერთად აქტიურად მონაწილეობს განათლების სისტემის რეფორმით ნაკარნახევ პროგრამებსა თუ პროექტებში და გარკვეულ წარმატებებსაც აღწევს. 2006 წელს „ფესვების“ დირექტორის მანანა გვირგიშვილის მიერ მომზადებულმა პროექტმა გაიმარჯვა პროგრამაში „სასკოლო პარტნიორობა“, რომელიც არაქართულ სკოლებში სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას ისახავდა მიზნად (ქნი მანანა თავადვე გახლდათ პროექტის კოორდინატორი), სკოლა „ფესვები“ დაუკავშირდა გერმანიის სახელმწიფო უკრაინულ სკოლას და მარნეულს რაიონის სოფელ ქურთლიარის აზერბა-

იჯანულ სკოლას და სათავე დაუდო სამივე მხარისთვის სასარგებლო, საქმიან, მეგობრულ ურთიერთობას.

თბილისელები სტუმრად ეწვივნენ ქურთლიარელებს, ახლოს გაეცნენ მათ, შერეულაქალაქში მოიწვიეს ისინი და ჩინებულადც უმასპინძლეს, დათვლებერებინეს ღირსშესანიშნაობები, ეთნოგრაფიული მუზეუმი, „დედა-ენის“ ძეგლთან ერთობლივი ღონისძიება

გამართეს. ამავე პროექტის ფარგლებში დამგობრებული სკოლების მოსწავლეებს 16 დღე ერთად გაატარეს ცემის ბანაკში, სადაც აზერბაიჯანულ ბავშვებს „ფესვების“ უფრო სკლასელები ქართული ენის გაკვეთილებს უტარებდნენ (ამ მხრივ განსაკუთრებით მეთერთმეტკლასეულმა ნაია გვიგინიშვილმა გამოიჩინა თავი). პირველი კონკრეტული კეთილი შედეგი ამ ურთიერთობამ უკვე გამოიღო – ქურთლიარის მკვიდრმა აზერბაიჯანელმა აბიტურიენტმა ქართულად ჩააბარა ეროვნული გამოცდები უმაღლეს სასწავლებელში, გარკვეული ქულებიც დააგროვა და შესაბამისი ხელშეწყობით სტუდენტობა გახდა. მისი მაგალითი საუკეთესო სტიმული გახდა ქურთლიარელი მოსწავლეებისთვის, რომლებიც გაათკეცული სურვილითა და მორწმუნებით შეუდგნენ სახელმწიფო ენის შესწავ-

არსებობის 12 წლის მანძილზე ერთი მრავალმხრივ ინტერესო ტრადიციად დაიბადა და დამკვიდრდა: ლიტერატურული საღამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ინტელექტუალთა შეჯიბრებები, ღია გაკვეთილები, ღია კარის დღეები, სახალწლო კარნავალები, საპირველპირი მოხუცი და სხვა. მაგრამ მათგან გამოჩენილი მა-

ინც შემეცნებითი და მომლოცველობითი ხასიათის ექსკურსიებია, რომელთა უპირველესი მახასიათებელია ისტორიის შესწავლა, წინაართა ავებულ-აშენებულის საკუთარი თვითი ხილვა, მშობლიური მიწა-წყლის შეცნობა. ადგილზე ჩასული ბავშვები მოწონებით შედიან ტაძარში, გულმგურავად ლოცულობენ, ეცნობიან ყოველი ტაძრის, თუ ციხე-უკოის ისტორიას, მისი მამულებების, თვის დროზე აქ მოღვაწე პირების დეაქლს. ასე მოიარეს თითქმის მთელი საქართველო, წმინდა სათნოები დაანთეს და ილოცეს მისი მთა-პარის სალოცავებში, ეკლესია-ტაძარებში. დაუწყებია „ფესვეების“ მოსწავლე-მასწავლებლებისათვის 2002 წლის ზაფხული, როდესაც „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პროექტის ჩარჩოებში სამხრეთ საქართველოში მოწყობილ ბანაკში ყოფნისას მათ მო-



სტუმრად ქურთლიარის სკოლაში

იარეს და მოილოცეს ზარზმა, საფარა, ხერთვისი, ვარძია, მწკანე მონასტერი, კვიციანოვის სალოცავი, აყურია.

მათილმადიდებლურ სკოლაში, სადაც დიდსაც და პატარასაც ღრმად სწამს, რომ წვენი ეკლესია ჭეშმარიტებას აზიარებს მოსწავლეებს, ნამდვილ მამულიშვილებად ზრდის მათ, ყოველი ორშაბათი იწყება პარაკლისით აქ არსებულ წმ. გიორგის სახელობის სა-მლოცველობა, რომელსაც სკოლის მოძღვარი მამა ლუკა სუპაძეშვილი იხდის ხოლმე. ყოველდღე კი მოსწავლე-მასწავლებლები წმინდა საწილებს ანთებენ, ღმერთს სამშობლოს ავედრებენ, საქართველოს, ყველა ქართველისა და სრულიად კაცობრიობისთვის შვილობას, სიკეთეს და ბედნიერებას შესთხოვენ. ეგვი არ არის, რომ თითოეული მათგანის სახით სკოლაში „ფესვები“ საქართველოს ჭეშმარიტი მამულიშვილები უზრდობა.



მოთხრობა სალომა გობოლაკი

ქორი

ქორიას დედა მის დაბადებას გადაკვეთა. შესაბამისი იყო პატარა, უმწურო კვიცი. ახალშობილი გაბარჯდულ ფეხებზე ძლივ იდგა. ერთიანად სველი და აკანკალებული, კუნაბეტი დამესავით შავი. დიდი წყლიან თვალებს შეშინებული აბრღვევით და ვერაფერი გაგვო, რა ხდებოდა მის გარშემო.

პაპაჩქმა თავის ძველ ლაბადაში განხვია და იქვე, თივაში მიაწვინა. საწყალი დედამის ნაპურაღს გადაღმა რომ კობიტის ხეა, იმის ძირში დამარხეს. ასე გახდა ქორია ჩვენი ოჯახის წევრი.

ცოტა რომ მიიზარდა, ეზოში გამოგვყავდა. იქაურობას კუნტრუმ-კუნტრუმით შემობიებდა ხოლმე, ბავშვები ჟივილ-ხივითი დაედევდით უკან. ცელქი და მოუსვენარი კვიცი იყო. საუკეთესო ბალახს ყოველ დილა-საღამოს სანაგებოდ მისთვის ეკრეფდით. ძალიან მალე გაიზარდა და გამწვენიერდა, ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა. მაღალი, წვრილ ფეხებზე შემდგარი, შავი მახინვარე ბეჭეთი მოსილი, ჯიშთან, საღოლე ცხენებსაც არ ჩამოუკარდებოდა.

პაპამ უნაგირი რომ დაადგა, ცოტა იუკადრისა, უნდოდა მოემორებინა უცხო ტვირთი და გვერდზე გადახტა. მოხუცმა ერთი-ორჯერ დაუყვავა, მისი ხმის გაგრუნებისთანავე ქორია ადგილზე შედგა, დამშვიდა.

ორი წლისა რომ განდა, მის ცხენოსან ფასი დალო. ჩვენს ოჯახში საქმე არ გაკეთდებდა უმისოდ. თივის მოხიჯა იყო თუ წისკელში ფეჭელის წაღება, ქალაქში წასვლა და სანოვანის მოტანა — ყველაფერი ქორიას კისერზე გადადიოდა. ისეც თითქოს გრძობდა საპანუსისმგებლო მოვალეობას, დინჯად, თავაწეული მიამყვებოდა ოჯახის უფროსს და გვერდზეც კი არ იხილებოდა. მთელი სოფელი შემოვკნატროდა, რომ ასეთი გამწვევი ძალა გამოგვიჩვენა უფალმა, ბევრი ბოროტი მხერტილი მიაცილებდა პაპას და ქორიას სოფლის დაგრეხილ გზაზე.

მეტად გონიერი და ჭკვიანი იყო ქორია. პაპას ხომ ერთგული ძალივით მისდევდა უკან, ბავშვებთან გულჩველი ხდებოდა, ხან ფაფარს ვუწნავდით, ხან კისერზე ვაჯდებოდით, ერთ ღღეს კი ქორიანი ჩამოვუწიეთ და მაკრატლით შევუსწორეთ. გონივრულად იტყვიდა, საღამო ხანს საბალახოდან რომ დაბრუნდებოდა, ჭიშკართან შედგებოდა, ერთი-ორჯერ მისებურად დაიჭიხენინებოდა.



ბდა და სანამ პურს და შაქარს არ შევაჭმევდით, მანამდე იდგა. შაქარი განსაკუთრებით უყვარდა ოჯახის ნებიერთას და აბა, ამ სიკეთეს ვინ მოაკლვებდა საყვარელ არსებას.

ერთ დღისასც საბალახოზე გავეშვით. ჭიშკარში რომ გადიოდა, რაღაც უცნაურად იტყვიდა, თითქოს ფეხებს ძალით მიათრევდა. პაპამ ერთი კი გაიფიქრა, რამე ხომ არ სჭირსო, მაგრამ საამისოდ არაფერი ეტყობოდა. ერთი კი გამოგვხვდა თავისი დიდრონი, წყლიანი თვალებით და ჭიშკარს გადალაჯა. მოსალამოვდა. ქორია კი, როგორც მოგასწავნით, თავისით მიდიოდა ხოლმე,

მაგრამ ამჯერად არა და არ გამოჩნდა. შებინდა, ის კი არსად ჩანდა, შევფიქროდით ყველანი. პაპამ ჯოხი დაეკადიხუნდა, ყანა-ყანა იარა, მაგრამ ვერსად მიაგინო მის კვალს. წელმოწვევითი შემოვიდა შინ და ჩვენს თვალებს რომ შეხვდა, მაშინდა ამოიქცა ორი სიტყვა — ეპიკით, აბა რა იქნება...

გათინდა. სოფელმა გაიღვიძა. მამალმა იყვილა და ქათმები კრიახით გამოეფინენ ეზოში. მხოლოდ ჩვენს ოჯახში არ გათენებულა სოფლის ერთი ჩვეულებრივი დილა. მთელი დამის უძილობის გამოთინისას ჩაგვეცინა. პაპა უთენია ამდგარიყო, მეზობლები კარდაკარ დაველო — იქნებ ვინმემ რამე იცოდესო. ყველგან ერთსა და იმავეს ეუბნებოდნენ — თვალის არ მოგვეკრავს შენი ქორიასათვისო. ცამ ჩაყლაპო თუ მიწამ, ვერაფერი გავიგეთ. ნამდვილად ვილაკამ მოიპარო, — ერთხელ წამოსცდა პაპას, აბა, ნემსი ხომ არ იყო მიწაში ჩაგარნილიყო და დაკარგულიყო.

განსაკუთრებით ბავშვები ვვიშვინებდით, დადუმდა ჩვენი ეზო. ზერეულად, უხალისოდ ვაკეთებდით ჩვენ-ჩვენს საქმეს, ყველანი დამწუხრებულნი და გულდათოქუქლები ადგილივით.

—რა მოგივიდათ, ხალხო! ვაჟაკები დაუკარგავთ და თან არ გადაპყლიან, თქვენ ერთმა კვიცმა როგორ დაგაბნეათ?! — გვეუბნებოდნენ მეზობლები.

ამისობაში კიდევ დაზამბოდა. თივლი თინარდ დაფინა სოფლის გზებზე. ყინვები გამოიწვია და სიცოცხე უშატა. პაპამ ძლივსძლივობით მოხიდა ტყვიან შუმა და ფიხნი, ბავშვებიც მივეშველეთ. ზოგმა ცივით გამოვიტანეთ და ზოგმა ზურგით. საღამოს ბავშვები ბუხართან ვისხედით და ზღარბებს ვევიხობოდა. პაპაც საინტერესო ამბებს გვიყვებოდა და ეკართობდა. ქორიას შვეე ადარ ვახსენებდით, თუმცა გულში ყველას ნალვლი დავერჩინოდა, მაგრამ არ ვიმჩნევდით.



თებერვალში თოვლმა დნობა დაიწყო, აატლახა გზები და ბილიკები, სკოლამ სიარული გვიჭირდა, მაგრამ აედარს მანძილს არ ვეპუბოლით. მალე მუხე განათა და გააშრო მიდამო. აქაიქ პირველმა ვევივებამაც გამოაჭვიტეს, გაუაფხულმა სისარული ჩავისინახა ეგვლებში. ხეები გაიკვირტნენ, გაცოცხლდნენ, თითქოს ერთი-ორად გაამოდდნენ და ცისკენ გასწიეს ტოტები. მისი ფერღობე სოფისი ნახიანი გამოფენია. მწვანე, ხასხასა, რძინი ბალახი სიამონებთი მოვდნენ და პირს იტკარუნდნენ. აყვავდა, გალალდა ბუნება. პაერში სასიამონო, მათორბოლა სუნი დატრიალდა. ბუჩქის ძირები ხომ გაივსო წითელგულა ფივივარდებითა და ლურჯთვალა იებით.

სალამის გამაძირი და ცურდაძმობეული ძროხები ზანტად ზრუნდებოდნენ სახლში. სოფელი გარეთ გამოფენილიყო, პაპაქმიც გარეთ გამოსულიყო და მეზობლებს შეროვდა. მენახიანი ნახიარს მოერეებოდნენ.

გზაზე ცხენიანი კაცი გამოჩნდა, აღვირი ხელშე ეჭირა და მოაბიჯებდა. შავი ტანსაცმელი კიდევ უფრო უზნეულება წვერით დაფარულ სახეს, წვრილი, ჭროლა თვალები ქურდულად იმზარებოდა.

ცხენს შევხედე თუ არა, ადგილზე ვაგემშდი. ეს ჩვენი ქორია იყო - ისეთივე წვრილგანჯა, მაღალ ფეხებზე შემდგარი, მხოლოდ მებრა ვახდომიდა ნაღვლიანი. უფრო გამხდარი მეჩვენა, ტანზე ბალანი აქაიქ ცაკვივნიდა, როგორც მოუველლამ ცხენებმა იციან, მხოლოდ ფაფარი და თავი პქონდა რაღაც უცნაურად მუქი წაბლისფერი თუ მოწაბლისფერი. გულში სისარული ჩამიკვდა და ანთებული თვალები დავხარე.

— თოდო, ნახე, კაცო შენს ქორიას არა ჰგავს ეს ცხენი? - წამომიბახეს ერთხმად მეზობლებმა.

— რას ამბობ, ქორიასი რა აქვს! - გულდაწყვეტილმა ჩაილულღულა პაპამ, ისე რომ ცხენისთვის თვალიც კი არ შეუვლია.

— როგორ არა, კაცო, ქორიაა გეუბნებით! - არ ემეპობდნენ მეზობლები.

პაპამ უნდობლად გაიხედა გვერდზე და თვალმოწკარულმა დაუწყო თვალთვება ცხენს. - ეჰ, გულზე მიკიდებულ ცეცხლზე ნავთს მოსახმა, თითქოს ჩემი ნაღველი არა მყოფნიდეს! - გულმოკლულმა ჩილაპარაკა.

შავი კაცი შეგროვილ ხალხს გა-

უსწორდა, გამარჯობაო! - ჩაიბურტყუნა და ცხენს ერთი-ორჯერ მოსწია სადგე. ცხენი არ დაემორჩილა, ყალყზე შედგა და გვერდზე გაუხტამხედარი უზანგიდან გადმოყარდა და მიწაზე მოაღინა ზღარათანი. ცხენმა ხალხისკენ აიღო გეზი, პაპაქმე რომ დაინახა, შედგა და კუნტრუშით გაეკანა მისკენ, პაპამ რომ არ მოხედა, ახლა სახლისკენ ქნა პირი და როგორც იცოდა ხოლმე, ჭიშკართან ჭიხვისს მიჰკვია. სისარულისგან აცრემლებული მივივარი და საყვარელ ცხოველს კისერზე მოვეხვიე.

— მოხვედი, მოხვედი, ჩემო ქორია? — პაპა, ქორია მოვიდა, ქორია! - ვიძახებ გულამომდარია.

— შემეძინე, ბალო, რამ ვადაგრია?! — დაგითი, ხალხო! ცხენი გამომექცა! - ყვიროდა წვეროსანი.

ქორია თითქოს ვერავის ამჩნევდა, ადგილზე ზტოდა და არავის იკარებდა. პაპამ აღვირში ჩაავლო ხელი და სადავე მოსწია, ცხენი დაემორჩილა. წვეროსანი უმაღლე გამოჩნდა.

— საიდან გყავს ეს ცხენი? - პქონთა პაპამ.

— ვიყიდე, პო, ვიყიდე. ჯერ კიდევ კვიცი რომ იყო, მაშინ! - ამოთქვა კაცმა.

— შე კაი კაცო, თუ შენია და ფულიც მივიცა, წესიერად მაინც მოგეჯლო, ასე როგორ დაჩაგრე პირუტყვი?

— მომეწლო! რა აქვს მიუკულევი?! ნუგბარ-ნუგბარი მეც არ მაწყენდა.

პაპამ ხელიდან ხელში გადასცა სადავე.

— აპა, წაიყვანე.

— არ მისცე პაპა, ჩვენი ქორიაა, ქორია! - ყვიროდით ხმის ჩახუტყამდე.

— გაჩუქდი, ბალო, როდის იყო ქორიას წაბლისფერი ქორიანი პქონდა!?

ქორიას ხსენებაზე ცხენი ადგილზე შედგა და ვერაფრით ვერ გადაადგმევინებ ნაბიჯი.

— წამოდი, შე სამგლე! - შოლტი მოუქნია წვეროსანმა.

— არა, ბიძია, არ დაარტყა, ცოდია! — მომამოვრეთ ეს ბალო!

— წამოდი, შვილო, წამოდი! - მითხრა პაპამ.

რატომ ვახილულა თვლიანთ ჭიშკართან?! წამოდი, ერთი რაგვექვლიაოქსთან მივიდეთ და იქ გავაჩვენოთ ამ საქეს!

— თავგვდომარესთან რაღა მესაქება, ცხენი რა, მოპარული კი არა მყავს!

— მამ, აბა დარუძახე ერთი, თუ წამოგვეყვს!

— თქვენა, კაცო, ვერ გავიგე ცხენისა უფრო გჯერათ თუ კაცისა. უცვინო პირუტყვს რა მოთხოვება, ესეც სახვედრის გავიხსნა! - თავი გამიართლა კაცმა.

— დაუძახე, თუ შენია და წამოგვეყვს.

— წაბლა, წაბლა! - გაუბედავად ამოიკანავლა ნაცარაანთ ვანომ.

ცხენმა მოხიზდა და წინა ფეხის ფოლტკები ღლივრად დაპკარა მიწას, თითქოს უეზნებოდა, აბა, კაიდე და ხელი მახლეო.

— აბა, თოდო, ახლა შენ დარუძახე! - უთხრეს მეზობლებმა.

— ქორია! ქორია! - ცხენი თითქოს ელვდა მის ხმას, წამოვიდა და პაპას მიეხალა.

— აპა, კაცო, ამაზე მეტი საბუთი რაღა ვინდა! - თქვა მახარებე.

— აბა, ახლა დაფეცი ჩქარა, სანამ რუმბივით გავგვისღინარ, მოპარული გყავს ეს ცხენი თუ არა?

— მოპარული როგორ იქნება, თვითონ თოდო ვერა სცნობს, წაბლისფერი არა პქონდა ჩემსასო, ხომ ამბობს.

— რა ციკით, იქნებ შეღებილიცა გყავს? - არ ემეპობდნენ მეზობლები.

— რას ამბობ, კაცო, რის შეღებილი! წაბლაც იმიტომ დავარტყე, რომ წაბლისფერი იყო.

პაპამ ცხენს შეხედა. მერე ხელი კანკალი ჩამოუსუჯა ქორიარზე, რაღაც უცნაური ეჩვენა მისი შეფერილობა. ხელზე დაიხედა და წაბლისფერად შეღებულად თითქმე.

— შეღებილია, ხალხო, შეღებილი! - აღვლევულმა წამოიყვირა პაპამ.

